საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-534

14/06/2019

ქ. თბილისი

ქ. ბათუმში შპს „ბეთლემი-2011“-ის ცემენტის წარმოების პროექტზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ბეთლემი-2011“-ის მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ცემენტის წარმოების პროექტზე სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. ბათუმში, ა. შანიძის ქუჩა #14ა-ში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 16456 კვ.მ-ის მიწის ფართობზე. ტერიტორიის GPS კოორდინატებია : X- 720261; Y- 4606983. წარმოდგენილი GPS კოორდინატების და საკადასტრო კოდის მიხედვით იდენტიფიცირებული ტერიტორიიდან აღმოსავლეთით ფიქსირდება დასახლებული ზონა. პირდაპირი მანძილი უახლოეს მოსახლემდე შეადგენს დაახლოებით 110 მ-ს. საპროექტო ზონიდან მანძილი ზედაპირული წყლის ობიექტამდე შეადგენს დაახლოებით 122 მეტრს.

ამჟამად საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში შპს „ბეთლემი-2011“-ის კუთვნილებაშია სამშენებლო მასალების დამამზადებელი საწარმო, სადაც ფუნქციონირებს ქვა-ღორღის გადამამუშავებელი, ბეტონის და საკედლე ბლოკების დამამზადებელი საამქრო.

წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე 2016 წლამდე ფუნქციონირებდა ცემენტის მწარმოებელი საამქრო. 2009 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „ბაკურის“ ცემენტის წარმოებაზე გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №26; 20.02.2009; დაბა ხელვაჩაური) და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა (ნებართვა №00195; 27.02.2009). 2013 წელს კომპანიების ერთობლივი განცხადების საფუძველზე შპს „ბაკურიზე“ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცა შპს „ბეთლემი-2011“-ს (ნებართვა №000071; 01.04.2013). კომპანიის ადმინისტრაციის გადაწყვეტილების საფუძველზე 2018 წლის 30 აპრილს წერილობით ეცნობა საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცემენტის საამქროს ფუნქციონირების შეწყვეტის შესახებ. აღნიშნულის საფუძველზე 2018 წლის 1 აგვისტოს გაცემულია N 2-629 ბრძანება „შპს „ბაკური“-ზე“ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 27 თებერვლის №ი-136 ბრძანებისა და შპს „ბაკურიზე“ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „ბეთლემი-2011“-ზე

გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2013 წლის 1 აპრილის №ი-78 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოხდა საამქროს ძირითადი აგრეგატების და ცალკეული კვანძების გაჩერება-დემონტაჟი.

მიმდინარე პერიოდისთვის საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ცემენტის მწარმოებელი საწარმოს ხელახალა ექსპლუატაციას. საპროექტო მონაცემების მიხედვით დაგეგმილია წელიწადში 20 000 ტონა მარკა-„300“ და მარკა-„400“ პორტლანდცემენტის დამზადება-რეალიზაცია.

საამქროს ძირითადი დანადგარები და ცალკეული აგრეგატები განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ იზოლირებულ კაპიტალურ ერთსართულიან შენობაში, სადაც პორტლანდცემენტის კლინკერის და თაბაშირის შემცველი მასალის ერთდროულად დაფქვით მიიღება წვრილმარცვლოვანი ფხვნილი. ტექნოლოგიური სქემის მიხედვით კლინკერის საწყობში მოხდება კაზმის მომზადება, მომზადებული კაზმი ავტომტვირთავის მეშვეობით გადაიტვირთება მიმღებ ბუნკერში, საიდანაც ვიბრაციული მკვებავით მიეწოდება ბურთულებიან წისქვილს, ცემენტის მარკის შესაბამისად ემატება სპეციალური დანამატები. წისქვილებიდან მიღებული მზა პროდუქცია პნევმოტრანსპორტიორის საშუალებით გადავა მზა პროდუქციის სილოსებში, ხოლო შემდგომ ცემენტმზიდის მეშვეობით მოხდება მათი მიწოდება მომხმარებელზე. სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ტექნოლოგიურ ხაზში გათვალისწინებულია სახელოიანი ფილტრის გამოყენება. საწარმო იმუშავებს 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით, წელიწადში 210 დღის განმავლობაში.

საწარმოს წყალმომარაგება (საწარმოო დანიშნულებით) მოხდება ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილიდან, საყოფაცხოვრებო დანიშნულებისთვის წყალაღება მოხდება ცენტრალური მაგისტრალიდან. სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოო მიზნებისათვის გამოყენებული წყლის ჩაშვება გათვალისწინებულია მდინარე ჭოროხში (ტერიტორიაზე არსებული სალექარის გავლით). აღნიშნულის შესაბამისად მოსალოდნელია ზემოქმედება ზედაპირული წლის ობიექტზე. ფეკალური წყლები ჩაიშვება დამგროვებელში და გაიტანება სპეციალური ავტოტრანსპორტით. სკრინინგის განცხადებაში არ არის აღწერილი სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები.

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ადგილი ექნება, როგორც სახიფათო (ძრავის და კბილანური გადაცემის კოლოფის სხვა ზეთები და ზეთოვანი ლუბრიკანტები, ჰიდრავლიკური ზეთები, ვერცხლის წყლის შემცველი ნარჩენები, ქაღალდი და მუყაო, პლასტმასი და რეზინა) ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. სკრინინგის განცხადების შესაბამისად, შეგროვებული სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვა მოხდება ობიექტის ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილ სათავსოში. აღნიშნული ნარჩენები ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა შესაბამის ორგანიზაციას, რომელსაც ექნება ნებართვა ასეთი სახის ნარჩენების მართვაზე.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელება მოსალოდნელია ნედლეულის შემოზიდვა-დასაწყობების და დანადგარების მუშაობის დროს. საწარმოდან იდენტიფიცირებულ დასახლებულ ტერიტორიამდე დაშორების გათვალისწინებით მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ზემოქმედება ხმაურის გავრცელების კუთხით.

საქმიანობის სპეციფიკიდან და დაგეგმილი წარმადობიდან გამომდინარე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე. ატმოსფერული ჰაერის ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებებია: ინერტული მასალებისა და ცემენტის მტვერი. ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების ნაწილში გასათვალისწინებელია (სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი GPS კოორდინატების და საკადასტრო კოდით იდენტიფიცირებული) საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ ზონამდე დაშორება.

წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის განსაზღვრული საწარმოს ფუნქციონირების შედეგად გამოწვეული შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების საკითხები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და საწარმოდან უახლოეს დასახლებულ ტერიტორიამდე მანძილის გათვალისწინებით დაგეგმილი საქმიანობა მნიშვნელოვან ზემოქმედებას მოახდენს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.4 ქვეპუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ბათუმში, შპს „ბეთლემი-2011“-ის ცემენტის წარმოების პროექტი **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ბეთლემი-2011“ ვალდებულია უზრუნველყოს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ბეთლემი-2011“ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბეთლემი-2011-ის “ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში. ლევან დავითაშვილი

ლევან დავითაშვილი

მინისტრი